დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109243594**
თარიღი:**24/12/2024**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

გრანტის მიღებასთან დაკავშირებით

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, მე-100-ე მუხლის მე-5-ე და მე-7-ე პუნქტების და საქართველოს კანონის ,,გრანტების შესახებ'' მე-2-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გააფორმოს ხელშეკრულება იაპონიის საელჩოსთან გრანტის/საჩუქრის სახით 70,500.00 (სამოცდაათიათას ხუთასი) აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში თანხის მიღების თაობაზე, პროექტის „დმანისის მუნიციპალიტეტში ალტერნატიული საბავშვო ბაღის დაარსება“ განსახორციელებლად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერისთანავე ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი ქ. ბოლნისი სულხან საბა ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი